პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 76 (7637)

19 აპრილი,
ხუთშაბათი,
1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ნომერში:

რეფორმა მოქმედებაში

მაიოცხლებელი რეზერვის უკმარობა (მე-2 გვ.)

უსაზღვროა მათი მოლოდინი... (მე-2 გვ.)

სიტყვა 80 წლის კაცზე (მე-3 გვ.)

ყველაფერზე და არაფერზე (მე-4 გვ.)

სოციალისტური საზოგადოება ძალზე დაინტერესებულია იმით, რომ ახალგაზრდა თაობა იზრდებოდეს ფიზიკურად განვითარებული, ჯანმრთელი, ხალისიანი, შრომისათვის და სამშობლოს დასაცავად მომზადებული.

ამოცანა—მრავალი, მიზანი—ერთი

მთელი საბჭოეთი უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალს უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ქვეყნის ცხოვრებაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმს და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას. როგორც პლენუმის, ისე სესიის ფუძემდებლური, სახელმძღვანელო დებულებები და დასკვნები განსაზღვრავს საბჭოთა ხალხის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შეუნელებელ წინსვლა-განვითარებას უახლოეს და შორეულ მომავალშიც. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მოიწონეს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი. ამ დიდმნიშვნელოვანი პროგრამის საბოლოოდ მიღებასა და მოწონებას წინ უძღოდა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო მსჯელობა, ბჭობა, განხილვა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. საქმე ეხება ჩვენი ცხოვრების ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროს შემდგომ დახვეწა-სრულყოფასა და გაუმჯობესებას, როგორიცაა სახალხო განათლების სისტემა. ამიტომ შეუძლებელი იყო ადამიანი გულგრილი დაეტოვებინა იმ რეფორმის პროექტის განხილვას, რომელმაც უნდა განსაზღვროს, როგორი იქნება მომავალში მოზარდი თაობის, საზოგადოდ, ახალგაზრდობის, ინტელექტუალური, მორალურ-ზნეობრივი, შრომითი და ფიზიკური აღზრდის ხარისხი. ლაპარაკია იმ თაობის ყოველმხრივი მომზადების დონეზე, რომელმაც უნდა გადააბიჯოს მეოცე საუკუნის ზღურბლს. ესენი არიან ხვალინდელი მაღალკვალიფიციური მუშები, სოფლის მაშვრალნი, მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, სპორტისა და ფიზკულტურის სფეროს მოღვაწენი, ერთი სიტყვით, ისინი, ვისაც საზოგადოებას ვეძახით.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში ზედმიწევნით ზუსტად, მკაფიოდ და შინაარსიანად არის გამოხატული ის უახლესი მოთხოვნები, რომლებსაც თანამედროვეობა, თვად ცხოვრების აჩქარებული რიტმი უყენებს საბჭოურ სკოლას და საერთოდ, განათლების მთელ სისტემას — მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, საზოგადოებრიობას, ყველას, ვისზედაც დამოკიდებულია მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებითა და პატრიოტული იდეალებით აღზრდის კეთილშობილური საქმე. ამიტომ ძირითად მიმართულებებში ამ ჭეშმარიტად უნივერსალურ, ყოვლისმომცველ დოკუმენტში, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი იპოვის საკუთრივ თავისთვის საინტერესოსა და საგულისხმოს. ამ აზრით ძირითადი მიმართულებები თავისებური სარკეა, რომელშიც დადებითად აირეკლა როგორც ჩვენი სკოლის, ისე ფართო საზოგადოებრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესები და სამომავლო ამოცანები.

ცხადია, ძირითად მიმართულებებს კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდება ჩვენი გაზეთი, რათა მკითხველის, უწინარეს ყოვლისა კი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მრავალათასიანი არმიის ყურადღება გაამახვილოს იმ ამოცანებზე, რომლებიც ხვალ-ზეგ და უფრო გვიან უნდა განხორციელდეს. დღეს კი თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ ძირითადი მიმართულებების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ სასკოლო ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას ეხება.

უკვე ის ფაქტი, რომ ძირითად მიმართულებებში სასკოლო ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს, თვალნათლივ მიგვანიშნებს იმ უდიდეს ყურადღებასა და ზრუნვაზე, რასაც პარტია და მთავრობა იჩენს მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის სრულფასოვანი, ჰარმონიული აღზრდისადმი. კიდევ ერთხელ დადასტურდა უმაღლეს დონეზე, უმაღლეს ფორუმებზე, რომ აღზრდის კომუნისტური სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო და არის ფიზიკური წრთობა. აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ ნორჩი თაობის ფიზიკური წრთობა არ არის მარტოოდენ მისი ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, თუმცა ეს ფიზიკური აღზრდის სისტემის უპირველესი მიზანია; ფიზკულტურა და სპორტი იმავდროულად უნდა წაადგეს ქვეყნის სიჭაბუკეს მორალური სიწმინდის, სულიერი სისპეტაკის, მტკიცე ნებისყოფის, სხვა უკეთილშობილესი ადამიანური თვისებების შესისხლხორცებასა და ჩამოყალიბებაში. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ზედმიწევნით მნიშვნელოვანი კომპონენტები.

ჩვენ აქამდეც კარგად ვიცოდით, რა ადგილი უნდა ეჭიროს ფიზკულტურასა და სპორტს სასკოლო ასაკის ბავშვების, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეების ცხოვრებაში. მაშ, რა არის ახალი იმ ამოცანებში, რომლებსაც ძირითადი მიმართულებები უსახავს სახალხო განათლების მთელ სისტემას? თავი და თავი ამ მოთხოვნებისა ის გახლავთ, რომ თვისებრივად გავაუმჯობესოთ და თანამედროვეობის უახლესი მოთხოვნების კვალობაზე გაცილებით მაღალ დონეზე ავიყვანოთ დღესდღეობით არსებული სასკოლო ფიზკულტურისა და სპორტის სფერო. ფიზიკური კულტურა და სპორტი ისეთივე ნაწილია განათლების სისტემისა, როგორიც ნებისმიერი სასკოლო დისციპლინა. ამიტომ შეუძლებელია მოწაფის ინტელექტუალური, შრომითი, მორალური აღზრდა ფიზკულტურის განვითარებისგან იზოლირებულად მიმდინარეობდეს. ესენი არიან ერთიანი პროცესის, ერთიანი სისტემის ნაკადები და მათი განვითარებაც მხარდამხარ, ერთობლივად უნდა ხდებოდეს. ეს, უნდა ითქვას, მეტად რთული ამოცანაა და მოითხოვს სასკოლო სპორტის დარგში ჩაბმული თითოეული მუშაკის უნარის მაქსიმალურ მობილიზებას, დასახული ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებით, რეალურ და არა ფორმალურ მიდგომას.

დიახ, ამოცანა არ არის იოლი და საკვირველიც იქნებოდა, სკოლის განვითარების ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს ჩვენთვის ადვილად გადასაწყვეტი მოთხოვნები დაეკისრებინა. გავიხსენოთ, რა არის ნათქვამი ძირითად მიმართულებებში: „უნდა მოვაგვაროთ ყველა მოსწავლის ყოველდღიური მეცადინეობა ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე, სწავლისაგან თავისუფალ დროს სპორტულ სექციებში, შევქმნათ ამისათვის საჭირო პირობები. ყოველ სკოლაში, პროფტექსასწავლებელში, ყველა სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებაში უნდა შეიქმნას მოწყობილობითა და ინვენტარით კარგად აღჭურვილი სპორტული დარბაზები და მოედნები. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების, საწარმოებისა და დაწესებულებების ბაზა".

როგორც ვხედავთ, ძირითადი მიმართულებები ჭეშმარიტად ამოუწურავ შესაძლებლობებსა და პირობებს უქმნის სასკოლო და პროფტექნიკური სწავლების სისტემას, რათა მან მაქსიმალურად გამოიყენოს რესპუბლიკაში არსებული სპორტული ბაზები, მოედნები, დარბაზები; ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს — რესპუბლიკაში არსებული სპორტული ბაზები — რადგან ყოველივე, რაც ჩვენს ფიზკულტურისა და სპორტის სფეროს გააჩნია გინდა მატერიალური, გინდა საუკეთესო მწვრთნელ-პედაგოგთა კადრების სახით, მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის ჰარმონიულ განვითარებას, ჩვენი ქვეყნის მომავლის ფიზიკურ სიმრთელესა და სულიერ წრთობას უნდა მოხმარდეს.

ძირითად მიმართულებებში მოცემული სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც სასკოლო ფიზკულტურასა და სპორტს ეხება, არის არა მხოლოდ განათლების სისტემის მუშაკთა, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებისა და, უწინარეს ყოვლისა, სპორტული საზოგადოებრიობის ლვიძლი საქმე. ახლა უმთავრესი ამოცანა ის არის, როგორ შევაერთოთ სკოლის, სპორტული ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების ძალები ერთიანი მიზნის აღსასრულებლად, რასაც საგანგებოდ მივუძღვენით ეს წერილი.

ქალთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი

თბილისი
ჭადრაკის სასახლე
1984

დიდოსტატთა ტურნირი თბილისში

ზეგ, 21 აპრილს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში სტარტს აიღებს დიდოსტატ ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

ტრადიციულ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი მოჭადრაკეები — მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (ფიდე-ს რეიტინგი 2385); „საჭადრაკო ოსკარის" პირველი მფლობელი, მსოფლიოს ექსჩემპიონი და სსრ კავშირის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი (2330) და პია კრამლინგი (შვეცია, 2405); დიდოსტატები ნანა ალექსანდრია (2370), ელენა ახმილოვსკაია (2300), ნანა იოსელიანი (2290), ნინო გურიელი (2225), მარტა ლიტინსკაია (ლვოვი, 2280), მარგარეტ მურეშანი (რუმინეთი, 2230), მილუნკა ლაზარევიჩი (იუგოსლავია, 2160), მარია ივანკა (უნგრეთი, 2165), ელენა ფათალიბეკოვა (მოსკოვი, 2105); საერთაშორისო ოსტატები თამარ ხუგაშვილი (2140) და მალგორჟატა ვიზე (პოლონეთი, 2120).

ტურნირი გაგრძელდება 18 დღეს, 8 მაისს დამთავრდება. გთავაზობთ შეჯიბრების რეგლამენტს: 21 აპრილს შედგება I ტური, 22-ში — II, 23-ში — III, 24-ში — IV, 26-ში — V, 27-ში — VI, 28-ში — VII, 29-ში — VIII, 2 მაისს — IX, 3-ში — X, 4-ში — XI, 5-ში — XII, 7-ში — XIII. 25, 30 აპრილს, 6 და 8 მაისს მოეწყობა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. 1 მაისს დასვენების დღეა. თამაში ყოველდღე დაიწყება 16 საათზე. 26 აპრილიდან ტურის დღეებში დილის 10 საათიდან მოეწყობა ორსაათიანი შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

მატიანე მოგვითხრობს...

—**დადგა** დრო, ჩვენი მოჭადრაკე ქალები საერთაშორისო სარბიელზე გავიდნენ. დავაყენოთ საკითხი საერთაშორისო ტურნირის შემოღების თაობაზე, — თქვა ვიქტორ გოგლიძემ საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე 1959 წლის შემოდგომაზე. მას ყველამ დაუჭირა მხარი.

50-იან წლებში ჩვენი მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი, ელისო კაკაბაძე, მანანა ტოგონიძე და ალა ჩაიკოვსკაია სისტემატურად და წარმატებით მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონატში. ეს ბევრს ნიშნავდა, რადგან მაშინ ამ დიდი შეჯიბრების ფინალში მოხვედრა ადვილი საქმე როდი იყო. ფედერაციის წინადადება მოიწონეს ქართული სპორტის მესვეურებმა.

და აი, 1960 წლის 17 მაისს, თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა I საერთაშორისო ტურნირი. ბრძოლაში ჩაება 7 ქვეყნის 12 მოჭადრაკე. მათ შორის იყო ჩვენი „შესანიშნავი ოთხეულიც". შეჯიბრებას დიდი რეზონანსი ჰქონდა. I ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ლარისა ვოლპერტმა, მეორე იყო ნონა გაფრინდაშვილი, მესამე — მანანა ტოგონიძე. ტურნირმა ცხადყო, რომ ქართველ მოჭადრაკეებს ბრწყინვალე მომავალი ელოდათ. ეს, სხვათა შორის, ძალიან მალე დაადასტურა ჩვენი მოჭადრაკეების ლიდერმა ნონა გაფრინდაშვილმა. 1962 წელს მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ამ წარმატებას ელოდნენ ჩვენი საჭადრაკო მოძრაობის თავკაცები, სწორედ ამიტომაც გადაწყდა საერთაშორისო ტურნირის გამართვა ტრადიციად ქცეულიყო.

1961 წლის აპრილ-მაისში თბილისსა და ბათუმში გაიმართა II საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ამჯერად 7 ქვეყნის 15 წარმომადგენელი მონაწილეობდა. პირველობა არავის დაუთმო ნონა გაფრი-

(დასასრული მე-3 გვ.).

ამირან ბერიანიძის შვიდი მედალი

ტაგანროგში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა ოლიმპიური რეზერვის სპორტულ სკოლებს შორის. საქართველოს წარგზავნილი — გიორგი ეგნატაშვილის სახელობის განათლების სამმართველოს ტანვარჯიშის სპორტული სკოლის ვაჟთა გუნდი IV ადგილზე გავიდა.

დიდ წარმატებას მიაღწია 17 წლის სპორტის ოსტატმა ამირან ბერიანიძემ (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ბახუტაშვილი). მრავალჭიდში მან ვერცხლის მედალი მოიპოვა (110,4 ქულა), თავისუფალსა და რგოლებზე ვარჯიშში „ოქროს" მედალი მიიღო, ბჯენით ხტომებსა და ლერძზე ვარჯიშში „ვერცხლით" დაჯილდოვდა, ხოლო ტაიჭსა და ორძელზე „ბრინჯაო" ხვდა წილად.

ტელეფონით „ლელოს" კორ.

სურათზე: ამირან ბერიანიძე.
ვანო შლამოვის ფოტო.

უმაღლეს საფეხურს დაუბრუნდნენ

საბჭოთა კავშირის მაგიდის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების წევრებმა, ბაქოელმა ვალენტინა პოპოვამ, მოსკოველმა ფლურა ბულატოვამ, ერევნელებმა ნარინე ანტონიანმა და ანიტა ზახარიანმა ევროპის ჩემპიონატის გუნდურ შეჯიბრებაში ოქროს მედლები მოიპოვეს. საბჭოთა ჩოგბურთელი ქალები მეხუთედ ავიდნენ ამ ტურნირის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. კონტინენტის წლევანდელი პირველობის ფინალურ მატჩში მათ დაამარცხეს იუგოსლავიის ნაკრები — 3:0. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა — უნგრეთის გუნდმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

დრამატული გამოდგა ვაჟთა შეჯიბრების ფინალი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და პოლონეთის სპორტსმენები.

შეხვედრები ოთხ საათს გაგრძელდა. სასწორის პინა ხან ერთისკენ იხრებოდა, ხან მეორისკენ, მაგრამ ფრანგი სპორტსმენების დიდმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა საფრანგეთის ნაკრებმა.

ბრინჯაოს მედალი შვეციის ნაკრებს ხვდა. საბჭოთა გუნდი დასკვნით მატჩში დამარცხდა იუგოსლავიის ძლიერ ნაკრებთან (3:5) და საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდა.

ახლა ასპარეზობაში პირადი ტურნირის მონაწილენი ჩაებმებიან.

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა...

„მოსაწყენ თემებზე“

3. მცდარი იდეების ფასი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბოლო ათწლეულში ფიზკულტურა და სპორტი ჩამორჩა რესპუბლიკის აყვავებას. მთავარი მიზეზი ჩამორჩენისა იყო ის, რომ ამ დარგის მუშაკებმა ვერ გამოიჩინეს უნარი, ორგანიზაციული მუშაობის მოწინავე გამოცდილება გადმოეღოთ და დაენერგათ. ფიზკულტურისა და სპორტის სატკივარზე ჩვენ უფრო დეტალური საუბარი გვექნება. ამჯერად კი გვაინტერესებს ის საწყისი შეცდომები, შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავებული სხვადასხვა რგოლის სუსტი მუშაობით, რომლებზეც დღევანდელი ხარვეზები აღმოცენდა და ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ამდენი ხანია მათს გამო ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ვერა და ვეღარ აღორძინდა ჩვენს რესპუბლიკაში.

ეს გახლავთ ორი შეცდომა, ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ რომ დაუშვა საქართველოს სპორტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ. პირველი და ალბათ უმთავრესი შეცდომა იმდროინდელია, როცა ქართული სპორტის მესვეურებმა მიზნად დაისახეს რაც შეიძლება მეტი ნაღები მოეხადათ, რძის რაოდენობასა და ხარისხს კი არ დაეძებდნენ. მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ ამ უკანასკნელში მე ვგულისხმობ მასობრივ სპორტსა და სპორტულ სკოლებს — მათს მჭიდრო ურთიერთკავშირს და ერთობლივ მნიშვნელობას დიდი სპორტის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირში სპორტული სკოლების შექმნა ოცდაათიან წლებში დაიწყო. პირველი ასეთი სკოლა თბილისში გაიხსნა. თავდაპირველად ეს სკოლები იმდენად სპორტულ მიღწევებს ვერაფერს ჰრგებდნენ, რამდენადაც საპრესტიჟო მნიშვნელობა ჰქონდათ. თითქმის ოცდახუთ წელიწადს გაგრძელდა სპორტული სკოლების მიერ დიდი სპორტის დაპყრობის პროცესი. მთელი ამ ხნის მანძილზე ტალანტებით მდიდარი სპორტული საქართველო წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, — ძირითადად სექციებსა და მასობრივი სპორტის წრეებში აღზრდილთა წყალობით. მაგრამ დადგა დრო, როცა მარტო ტალანტი და თუნდაც მასობრივ სპორტში მომზადება აშკარად აღარ იყო საკმარისი. სპორტული შედეგები იმდენად გაიზარდა, რომ მარტოოდენ სტიქიურ მომზადებაზე დაყრდნობა უკვე აღარ შეიძლებოდა. სპორტული სკოლა, ადრეული ასაკიდანვე სპეციალური, დახვეწილი წვრთნა დიდ სპორტში წარმატების აუცილებელ პირობად იქცა.

ჩვენი სპორტის მესვეურებს სწორედ აქ ელოდათ შეცდომა: მათ სპორტული სკოლების მუშაობა მასობრივ სპორტს კი არ შეუხამეს, არამედ მთლიანად სკოლებს დაეყრდნენ. თუკი თანამედროვე დონის ოსტატთა აღზრდა მხოლოდ სკოლებში შეიძლება, — ფიქრობდნენ ისინი, — ტყუილად რატომ ვიზრუნოთ მასობრივი სპორტის განვითარებაზე, რომელმაც დიდი სპორტისათვის ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგაო? დაე ხალხმა თავისით, ჩვენი ზრუნვისა და დახმარების გარეშე ივარჯიშოს ფიზკულტურის კოლექტივებში, დაე გაერთონ, ჯანი გაიკაჟონ, შრომისა და თავდაცვისათვის კარგად მოემზადონო. თანაც, რაღა თქმა უნდა, ეს ფიზკულტურაში ჩაბმულთა რიცხვის სტატისტიკისთვისაც საჭირო იყო, რამდენადაც პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ სწორედ მასობრიობის მიმართ და სპორტკომიტეტების მუშაობის მაჩვენებლებში მას ერთ-ერთ უპირველეს ადგილს აკუთვნებდნენ.

დიდი სპორტისათვის რეზერვების აღზრდა ამ საზრუნავისაგან სრულიად განცალკევებულ ამოცანად მიაჩნდათ, რომლისთვისაც მხოლოდ სპორტული სკოლები არიან მოწოდებული.

რამდენადაც აქცენტი სპორტულ სკოლებზე გადაიტანეს, საქართველოს სპორტკომიტეტის სპეციალისტებმა შექმნეს მთელი ფოლიანტი, რომლის თანახმადაც რაიონები და ქალაქები სპორტის სახეობათა მიხედვით იყო სპეციალიზებული. ზუსტად დაადგინეს სასწავლო ჯგუფების რაოდენობა და მათი პროფილი ბავშვთა და მოზარდთა ყოველ სპორტულ სკოლაში, ყოველ რეგიონში, მაგრამ ამ წმინდა წყლის კაბინეტურ თხზულებას, რა თქმა უნდა, წარმატება არ მოჰყოლია. ვიმეორებთ, თვით იდეა მასობრივ და დიდ სპორტს შორის ფუნქციების განაწილებისა მანკიერი იყო. მასობრივი სპორტის დაკნინებამ დააზარალა დიდი სპორტიც და აქ ვერავითარმა სკოლებმა საქმეს ვერ უშველა. ასეც უნდა მომხდარიყო, რამდენადაც სინამდვილეში დიდ სპორტსა და მასობრივს შორის არავითარი წყალგამყოფი არ არსებობს, და არც ის დაუდგენია ვინმეს, რომ პირველი მხოლოდ სპორტული სკოლების ნაყოფია და მხოლოდ დიდი მიღწევებისთვისაა მოწოდებული, მეორე კი ფიზკულტურის კოლექტივებსა და სხვა ამგვარ ორგანიზაციებში ინერგება და მისი მიზანია მხოლოდ მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟება, გართობა, ნაყოფიერი საზოგადო საქმიანობისთვის აუცილებელი ფიზიკური და სულიერი თვისებების გამომუშავება. განა ასე განცალკევებულია ეს ორი სფერო? განა პირველი მეორეს არ ერწყმის ადამიანთა საერთო კეთილდღეობისთვის, ჯანმრთელობის სამსახურისთვის და საერთოდ, ყველა იმ მიზნის ხორცშესხმისთვის, რაც მხოლოდ მეორეს მიეწერება? ანდა, განა მეორე არსებით როლს არ თამაშობს პირველის სპორტულ მიღწევებში?

მაგრამ აქ მთავარი მარტო ის როდია, რომ მასობრივი და დიდი სპორტის ფუნქციები განუყოფელია, თუმცა ამ ერთიან ამოცანათა შესრულებაში აქცენტები და ფორმები განსხვავებულია. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მასობრივი სპორტის წინასწარგანმსაზღვრელი როლი.

სპორტი მხოლოდ იქ შეიძლება აყვავდეს, სადაც მის მიმართ მასობრივ ინტერესს იჩენენ. და აყვავდება პირველ ყოვლისა ის სახეობა, რომელსაც ხალხი ყველაზე მეტად ეტანება. გაქრება ეს გატაცება და აღარ მოიძებნება ისეთი საფუარი, რაც დიდი სპორტის აყვავებისა და მაღალი მწვერვალების დაპყრობის წინაპირობაა. აბა დაასახელეთ თუნდაც ერთი მაგალითი ამ მოსაზრების წინააღმდეგ. ვერ დაასახელებთ. ასეთი მაგალითი არ არსებობს. მაგრამ სპორტით მასობრივი გატაცება საჭიროა არა მარტო დიდი სპორტის განვითარებისთვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შესაქმნელად, არამედ, აქედან გამომდინარე, მასობრივი სპორტული მეცადინეობისთვისაც. განა ნათელი არ არის, რომ მასობრივი სპორტის წარმატებით განვითარება დიდი სპორტის წარმატებათა გარდაუვალი წინაპირობაა? უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მასობრიობას წმინდა პრაქტიკული როლიც ეკისრება დიდი სპორტის მიღწევათა თვალსაზრისით. რათა ნათქვამი უფრო დამაჯერებელი იყოს, ვილაპარაკოთ კონკრეტულად.

პირველ ყოვლისა, თუ დიდი სპორტის ბედი პირდაპირ დამოკიდებულია სკოლების პროდუქტიულობაზე, ეს პროდუქტიულობა, თავის მხრივ, უკავშირდება სკოლების დაკომპლექტების ხარისხს, ხოლო დაკომპლექტების ხარისხი — არჩევანს, რომლის საშუალებასაც მათ ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის მდგომარეობა აძლევს. იქნებ საქართველოში დიდ სპორტს იმიტომაც აკლია რეზერვები, რომ მოიკოჭლებს სექციური სპორტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე მხოლოდ პერიოდულად იგრძნობა სიცოცხლის ნიშანწყალი, დანარჩენ დროს კი, თუ ფეხბურთელთა რაღაც გასაცოდავებულ რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებს არ ჩავაგდებთ სათვალავში, თავს არაფრით გვახსენებს? არ ტარდება სისტემატური შეჯიბრებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სპორტული სკოლებისათვის შესაფერისი მოსწავლეების გამოვლენა: ისინიც, რაკი არჩევანი არა აქვთ, სასურველთა ნაცვლად მსურველთ იღებენ. აი, ასეთ გავლენას ახდენს ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის ნაკლოვანებანი სპორტული სკოლების ხარისხიან დაკომპლექტებაზე და აქედან გამომდინარე — დიდი სპორტის ბედზე.

და მაინც, მოდით, ერთი წუთით დავუჯეროთ იმათ, ვინც ამბობს, რომ სპორტული სკოლების გახსნის შემდეგ მასობრივი სპორტი აღარ არის საჭირო, რომ მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა — როგორც დიდი ხპორტის რეზერვების წყარომ. დიდ და მასობრივ სპორტს შორის პრაქტიკულ ურთიერთობას კიდევ ერთი ასპექტი აქვს: როგორ უნდა შეინარჩუნოს თავისი კადრები დიდმა სპორტმა? კარგი, ვთქვათ, სპორტსმენთა ნაწილი, განსაკუთრებით სათამაშო სახეობებში, მუდმივ ნავსაყუდელს დიდი სპორტის სფეროში პოულობს. დანარჩენები? სპორტული სკოლების აღზრდილთა ის დიდი უმრავლესობა, რომელიც საკმაოდ ნიჭიერიც არის, საკმაოდ საიმედოც ან უკვე დღესვე საჭიროა დიდი სპორტისთვის? რა გზით უნდა შეინარჩუნონ, სად უნდა დახვეწონ მათ ოსტატობა? პასუხი ერთია: მხოლოდ სექციებსა და სპორტულ კლუბებში, მაშასადამე, მასობრივ სპორტში. სხვაგვარად არ შეიძლება, რამდენადაც ჩვენში პროფესიული სპორტი არ არსებობს. მაგრამ იმისთვის, რომ მაღალი კლასის სპორტსმენებისთვის მშობლიურ კერად იქცეს, მასობრივი სპორტი ჯერ თავად უნდა ცხოვრობდეს სრულფასოვანი ცხოვრებით. ვინ მოთვლის, რამდენ იმედის მომცემ სპორტსმენს დღეს სარბიელზე ვერ ვხედავთ იმის გამო, რომ დიდი სპორტის ინტერესებს მოწყვეტილნი მასობრივი სპორტის მორევში ჩაიკარგნენ.

მასობრივი სპორტის — როგორც დიდი სპორტის საფუძვლის, რეზერვის, მისი ძალების „საცავის“ მიმართ ინტერესის დაკარგვამ რესპუბლიკის მთელ სპორტულ ცხოვრებას დაატყო კვალი და ჯაჭვურ რეაქციასავით გადაეცა მასობრივი რგოლებიდან სპორტულ სკოლებს, ხოლო აქედან — საბოლოო რგოლებს.

ეს მტკივნეული პრობლემა წარმოიშვა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ საფუძველთა საფუძველი — მასობრივი სპორტი უკანა პლანზე გადავისროლეთ.

ამავე დროს მოხდა ის, რომ სპორტის სამივე შესაკრებში ერთნაირმა სატკივარმა იჩინა თავი. პირველ ყოვლისა, მწვავედ დადგა სპორტული ბაზების ნაკლებობის საკითხი — უმარტივესი მოედნები იქნება ეს, თუ უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ნაგებობები. ეს სატკივარი თანაბრად აწუხებს დიდ სპორტსაც, მასობრივსაც და სპორტულ სკოლებსაც. და მაშინ სპორტის მესვეურებმა მეორე დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა დაიჯერეს, რომ ჩვენს ყველა გასაჭირს მხოლოდ ბაზების საკითხის მოგვარება უშველიდა. მათი რწმენა განამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილების ცალმხრივმა გაგებამ.

ამ დადგენილებამ, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ამოცანებს მიეძღვნა, სავსებით მართებულად, დიდი ადგილი დაუთმო სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხს. სამწუხაროდ, ჩვენი სპორტის მესვეურებმა დადგენილებიდან მხოლოდ ეს აზრი გამოიტანეს. მათს მდიდარ წარმოსახვაში დაახლოებით ასეთი იდილია იხატებოდა: საკმარისია აშენდეს ბევრი და სხვადასხვაგვარი სპორტული ბაზა, რომ ხალხი ამ ბაზებს მიაწყდება მასობრივი სპორტის სადიდებლად, სპორტული სკოლები ელვის სისწრაფით დაიწყებენ პრიზიორებისა და რეკორდსმენების გამოშვებას, დიდი სპორტი კი ამრიგად სახელსა და დიდებას მოიხვეჭსო.

მერე, რით დამთავრდა ეს ოცნება? ბაზებს რაც შეეხება, საქმე მართლაც დიდი ხანია დაიძრა მკვდარი წერტილიდან. ბოლო ათწლეულში კარგა ბლომად აშენდა ახალი სპორტული ნაგებობები. მძლეოსნებმა ის მანეჟებიც კი მიიღეს, რომელთა იმედითაც მთების გადაბრუნებას გვპირდებოდნენ. მერე რა გამოვიდა? სად არიან ახალი დუმბაძეები, გოკიელები, დვალიშვილები, შავლაყაძეები, სანეევები? ბაზები ცარიელი იყო. სპორტული სკოლები ისევ უნაყოფო ხეებს ჰგავდა. დიდ სპორტს კი ისევ და ისევ აკლდა მაცოცხლებელი რეზერვი.

მოედნები და ნაგებობები თავისთავად პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, თუმცა, ცხადია, ბაზების გარეშე სპორტი საერთოდ წარმოუდგენელია. როგორც ჩანს, იმისათვის, რომ ბაზების მნიშვნელობა სრულად გამოჩნდეს, კიდევ რაღაც არის საჭირო. თუმცა, ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

ვლადიმერ მდივანი.

ფინალის საგზურისთვის

დაიწყო საქართველოს პირველობის ზონალური შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. მცხეთის საჭიდაო დარბაზი აღმოსავლეთი ზონის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებს მასპინძლობდა. (მალე ონში ანალოგიური შეჯიბრება დასავლეთის ზონის მოჭიდავეებისთვის გაიმართება, ფინალური ასპარეზობა კი მაისში გორში ჩატარდება). სარბიელზე სულ 136 ფალავანი გამოვიდა (საასპარეზოდ არ ჩამოსულან ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, ქალაქ გორის, ბორჯომის, ახალციხის, ბოლნისისა და ბოგდანოვკის წარმომადგენლები).

საინტერესო, ტექნიკური ჭიდაობით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ახმეტელმა ე. თიგიშვილმა, თელაველმა გ. ტატიშვილმა, ქარელელმა ე. მსხალაძემ, მცხეთელმა ა. წიკლაურმა, გარდაბნელმა ზ. ზითანიშვილმა და სხვებმა. ცალკეულ წონით კატეგორიებში საპრიზო ადგილებზე გასულმა მოჭიდავეებმა რესპუბლიკური პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ხ. მაისურაძე,

საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ქართულ ჭიდაობაში.

დებიუტანტი

ხათუნა ლომიძე

სპორტული ტანვარჯიში

დაიბადა 1967 წლის 8 მარტს თბილისში, სპორტის ოსტატი. 1974 წელს ვარჯიში დაიწყო 130-ე საშუალო სკოლასთან არსებულ სპორტული ტანვარჯიშის სექციაში.

სწავლობს თბილისის 106-ე საშუალო სკოლის X კლასში.

სიმაღლე 160 სმ, წონა 49 კგ.

ვარჯიშობს საავიაციო ქარხნის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნანა ხერხეულიძე).

1981 წელს მოიგო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა, 1983 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი.

რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში ემზადება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მოძალადე მოიჯარე

ბავშვთა ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღებითაა გარემოსილი. ეს არცაა გასაკვირი. რადგან სწორედ მოზარდთა გუნდებიდან იწყება დიდი ფეხბურთის გზა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფეხბურთისათვის საიმედო ცვლის აღზრდა-მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს, პირველ ყოვლისა, თბილისის „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლას. ამ სკოლის „სავიზიტო ბარათს“ კარგად იცნობს ფეხბურთის გულშემატკივარი, მაგრამ ახლა ზოგიერთი რამ მაინც უნდა გავიხსენოთ.

დავიწყოთ იმით, რომ ამ სკოლაში აღიზარდნენ ჩვენი ფეხბურთის ცნობილი ოსტატები: ანზორ კავაზაშვილი, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით მუჯირი, გიორგი ჭილაია, გელა კეტაშვილი და მამუკა აბუსერიძე. ამ სკოლიდან მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდში შეყვანილია 7 ფეხბურთელი. ჭაბუკთა ნაკრები გუნდიც სანახევროდ აქაური სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. „სიჭაბუკის თასზე“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობს სკოლის 8 წარმომადგენელი, ქვეყნის მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებში (სხვადასხვა ასაკი) გამოდიან კახი კარანაძე, გია ამისულაშვილი, ალანი კულუმბეგოვი, ლევან რევიშვილი, ბერდია ქაფიანიძე და მამუკა ფანცულაია.

შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ ასეთ შესანიშნავ საფეხბურთო სკოლას დიდხანს არ ჰქონდა საკუთარი სათამაშო მოედანი. მიუხედავად ამისა, მწვრთნელები მაინც ახერხებდნენ კონტინგენტის შენარჩუნებას, ჯგუფებში ასაკობრივი თანმიმდევრობა არ ირღვეოდა. მხოლოდ ამ ბოლო ხანს გამოუყვეს სკოლას ცალკე ტერიტორია — ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის გვერდით. ახლა ამ ტერიტორიას ხასხასა, შესანიშნავი საფეხბურთო მინდორი ამშვენებს. თავი დავანებოთ იმის ჩამოთვლას, რამდენი შრომა დასჭირდა მოედნის გაშენებას და კეთილმოწყობას თითქმის უსასყიდლოდ. რაც მთავარია, ახლა თბილისის ხუთი საფეხბურთო სკოლიდან მხოლოდ „დინამოს“ აქვს საკუთარი სარბიელი. ამით ყველაფერია ნათქვამი. თუმცა, ამ სკოლამ მაინც ვერ მოაგვარა მუშაობა ისე, როგორც ოცნებობდნენ. ჯერჯერობით, იმის გამო, რომ სათავსები არა აქვს, სკოლა კვლავ „დინამოს“ სპორტკომბინატსაა შეკედლებული. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და სპორტსკოლის ხელმძღვანელები მოუთმენლად ელოდნენ 1984 წელს, როცა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქანტრაქციონს“ სახელშეკრულებო ვადა გაუდიოდა და ნაგებობა, რომელიც გაერთიანების ადმინისტრაციას ახლაც უკავია, საფეხბურთო სკოლას გადაეცემოდა. ამიტომ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომლის ბალანსზეც ეს შენობაა, ხელშეკრულებას არ ანახლებს. მაგრამ ახლა მოიჯარე ძალადობს: მერე რა, რომ სახელშეკრულებო პერიოდი ამოიწურა, სამაგიერო სათავსი მოგვეცით და ამ შენობას მხოლოდ მაშინ დაგითმობთო.

კაცმა რომ თქვას, ერთი მხრივ, არც „საქანტრაქციონის“ ხელმძღვანელობა ტყუის. მეორე მხრივ, ეს ორგანიზაცია დიდად მაინცდამაინც არც თვითონ იწუხებს თავს და არც იმ ორგანიზაციებს აწუხებენ, რომელთაც ამ საჭოჭმანო საკითხის გადაჭრა ევალებათ. უფრო მეტად შემწეობას „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოსგან ითხოვენ. რა შუაშია აქ „დინამო“?

ამ დავა-კამათში დრო გადის, სკოლა ისევ მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, ისევ პრობლემად რჩება ბავშვთა სრულყოფილი საფეხბურთო კომპლექსის შექმნის საკითხი.

თენგიზ თომაშვილი.

სსრ კავშირი— ჩეხოსლოვაკია

გუშინ მოსკოვში, „ტორპედოს“ სტადიონზე, გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა.

თამაში დამთავრდა ჩეხების გამარჯვებით — 1:0.

წინა დღით სოჭში ერთმანეთს შეხვდნენ ამავე ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული გუნდების თამაში იმსაჯა თბილისელმა არბიტრმა მ. მიმინოშვილმა, მას ეხმარებოდნენ გ. გვანცელაძე და უ. ფურცელაძე.

I ლიგა

17 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების III ტურის კალენდარული მატჩები.

საქართველოს სამივე გუნდი სტუმრად გამოდიოდა. ლანჩხუთის „გურიამ“ ვოლგოგრადში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „როტორთან“ — 1:1, ქუთაისის „ტორპედო“ დამარცხდა იაროსლავლის „შინიკთან“ — 1:2, ხოლო ბათუმის „დინამო“ — სმოლენსკის „ისკრასთან“ — 1:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ირტიში“ (ომსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „პამირი“ (დუშანბე) 4:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 4:1, „დაუგავა“ (რიგა) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 3:1, ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — 1:0.

20 აპრილს „გურია“ თამაშობს კრასნოდარში, ქუთაისის „ტორპედო“ — სმოლენსკში, ხოლო ბათუმის „დინამო“— იაროსლავლში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლოსი“	3	2	1	0	3-1	5
„ყუბანი“	3	2	0	1	6-3	4
„დინამო“ ბ.	3	2	0	1	4-3	4
„ფაკელი“	3	2	0	1	4-3	4
„შინიკი“	3	2	0	1	4-3	4
„პამირი“	3	2	0	1	2-4	4
„მეტალურგი“	3	1	2	0	6-2	4
„ნისტრუ“	3	1	2	0	2-1	4
„დაუგავა“	2	1	1	0	4-2	3
ასკ „კარპატი“	2	1	1	0	2-1	3
„ლოკომოტივი“	2	1	1	0	1-0	3
„ირტიში“	3	1	1	1	1-1	3
„კუზბასი“	3	1	1	1	1-1	3
„ისკრა“	3	1	1	1	3-4	3
„გურია“	3	0	3	0	4-4	3
„ტორპედო“ ქ.	3	1	0	2	7-5	2
„ტავრია“	3	0	2	1	0-1	2
ასკ ხ.	2	0	1	1	1-2	1
„ზარია“	3	0	1	2	2-4	1
„სპარტაკი“	3	0	1	2	1-5	1
„როტორი“	3	0	1	2	3-8	1
„ზვეზდა“	3	0	0	3	0-3	0

სამოცდახუთი წელი ფეხბურთის სამსახურში

ყველა, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა აქვს ფეხბურთთან, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებშიც კი, კარგად იცნობს დიდად დამსახურებული კაცის, ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტის, ვეტერანი მოთამაშისა და მწვრთნელის დავით ცომაიას სახელს. მის ხანგრძლივ, ნაყოფიერ მოღვაწეობასთან განუყოფლადაა დაკავშირებული ქართული ფეხბურთის განვითარებისა და აღმავლის, ორგანიზაციული განმტკიცებისა და გამოჩენილ ოსტატთა დაწინაურების დიდმნიშვნელოვანი, საშვილიშვილო საქმე.

დავით პავლეს ძე ცომაია 1904 წელს დაიბადა სოხუმში. აქ ბავშვობაშივე ეზიარა ფეხბურთს, 1920 წელს, ჯერ კიდევ ჭაბუკი, მეკარედ თამაშობდა სოხუმის გუნდებში და სულ მალე საყოველთაო ყურადღებაც მიიქცია.

1924 წელს დავით ცომაია თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, აქაც ერთგულად მისდია თავის საყვარელ საქმეს — ფეხბურთს. იგი ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს შემდგომში სახელმოხვეჭილ გუნდს — თბილისის „დინამოს“, იყო მისი ორგანიზატორიც და მოთამაშეც.

ფეხბურთი დავით ცომაიას ხანგრძლივი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. მას შემდეგ, რაც მწვანე მინდორზე აღარ გამოდიოდა, იგი მწვრთნელის პროფესიას დაეუფლა, ავარჯიშებდა თბილისის „ლოკომოტივს“, 26 კომისრის სახელობის რაიონის ახალგაზრდულ გუნდს, უფრო გვიან სათავეში ჩაუდგა თბილისის ცნობილი 35-ე საფეხბურთო სპეციალიზებული სკოლის მწვრთნელთა კოლექტივს, კარგა ხანს ხელმძღვანელობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრას.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა დავით ცომაიამ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის უფროსი მწვრთნელისა და განყოფილების უფროსის პოსტზე, სადაც ორ ათეულ წელზე მეტი დაჰყო. ამ ხნის მანძილზე დავით ცომაიამ შემოიკრიბა ენერგიული, საქმიანი აქტივი, ძველი მოთამაშეები, მსაჯები, მწვრთნელები, საზოგადოებრივი მუშაკები და ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ყველაფერს აკეთებდა, რათა საქართველოს გუნდებს ღირსეული მაჩვენებლებისთვის მიეღწიათ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. იგი საგანგებო ყურადღებას აქცევდა ნორჩ ფეხბურთელებს, ჭაბუკებს, ეძებდა, პოულობდა და დიდი ასპარეზისკენ გზას უხსნიდა მათ შორის უტყუარი ნიჭით დაჯილდოებულთ, პერსპექტიულთ. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სწორედ მან გაუკვალა ბევრ ცნობილ ფეხბურთელს გზა ოსტატთა გუნდებისკენ.

დიდია დავით ცომაიას ღვაწლი და ამაგი ქართული ფეხბურთის განვითარებაში. ამისთვის მიენიჭა მას საქართველოს სსრ და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

სპორტის მოყვარულნი, ჩვენი ფართო საფეხბურთო საზოგადოებრიობა გულმხურვალედ ულოცავენ დავით ცომაიას სახელოვან იუბილეს — დაბადების 80 წლისთავს.

გიორგი ეწერელი.

• • •

საქართველოს სპორტკომიტეტში

ქართულ და საბჭოთა ფეხბურთში გაწეული ამაგისთვის, დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე **დავით პავლეს ძე ცომაია** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით და დიდი ოქროს მედლით.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თბილისში სტუმრად იმყოფება დასავლეთ ბერლინის სამოყვარულო ფეხბურთის ლიგის გუნდი, რომელიც 20 აპრილს გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს საქართველოს პირველობაზე მონაწილე თბილისის „შევარდენთან“.

მატჩის დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

ვინ შეცვლის პერეირას?

მას შემდეგ, რაც კარლოს ალბერტო პარეირა ბრაზილიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა, ამ ქვეყნის გულშემატკივრებს მხოლოდ ერთი საკითხი აინტერესებთ — ვინ იქნება მისი მემკვიდრე?

ბრაზილიური პრესა 5 კანდიდატს ასახელებს. ესენი არიან ეროვნული ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ზაგალო, რომელიც საუდის არაბეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯერჯერობით არსად მუშაობს, დიდი (რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგო“), მინელი, რომელმაც ამ დღეებში შეწყვიტა მუშაობა ბელუორიზონტის „ატლეტიკო მინეიროსთან“, ვიეირა (სან-პაულუს „კორინტიანსი“) და განთქმული ფეხბურთელის ზიკოს ძმა ედუ, რომელიც ახლა რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამას“ წვრთნის..

რას ფიქრობს იდალგო?

საფრანგეთის ნაკრები, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მასპინძელი, „საკონტროლო შეხვედრების სერიას“ ატარებს — მწვრთნელი მიშელ იდალგო ოპტიმალურ საბრძოლო შემადგენლობას ეძებს. ამ შეხვედრების შედეგები ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია: დანიელებთან — 1:3, იუგოსლავიელებთან — 0:0, ესპანელებთან — 1:1, ინგლისელებთან — 2:0, ავსტრიელებთან — 1:0.

— ასეთ რთულ მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვართ, — განაცხადა იდალგომ. — საფრანგეთის ნაკრები ფავორიტად ითვლება და გულშემატკივრები ჩვენგან მხოლოდ პირველ ადგილს მოითხოვენ.

— საკუთარი მინდორი მართლაც დიდი უპირატესობაა.

— დიახ, მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება ამ უპირატესობის გამოყენება. როცა გფრ-ის და არგენტინის ნაკრები გუნდები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ეს უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ უბრწყინვალესი ფეხბურთელები ჰყავდათ.

— გახდებით თუ არა ევროპის ჩემპიონები?

— ვინ იცის. ჩვენ ხომ ისეთი ძლიერი მეტოქეები გვყავს, როგორიც ბელგიის, გფრ-ისა და რუმინეთის გუნდებია.

თამაშობენ ჭაბუკები

სულ მალე, როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართება უეფა-ს ტურნირი 16 წლამდე ფეხბურთელთა შორის. 3 მაისს სსრ კავშირის ნაკრები შტუტგარტში შეხვდება ინგლისის გუნდს. ამავე დღეს ითამაშებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფეხბურთელები.

ფინალური მატჩი და შეხვედრა III ადგილისთვის გაიმართება 5 მაისს.

ფრანგები ფინალში

ბოხუმი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ფრანგებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 (ბურთი გაიტანა ლიაკომბმა), და ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ლიატოს გამოსათხოვარი მატჩი

პოლონეთის ეროვნულმა ნაკრებმა ვარშავაში მიიღო ბელგიის გუნდი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხდა ანგარიშით 0:1. ბურთი 90-ე წუთზე გაიტანა ჩერნიატინსკიმ. პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში გამოსათხოვარი მატჩი გამართა გჟეგოშ ლიატომ. ეს ვეტერანის 104-ე გამოსვლა იყო პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში.

ქალთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი
თბილისი
ჭადრაკის სასახლე
1984

მატიანე მოგვითხრობს...

დასასრული

ნდაშვილმა. II ადგილზე ალა ჩაიკოვსკაია გავიდა. ამ მიღწევისთვის ალას საერთაშორისო ოსტატის წოდება მიეკუთვნა.

III ტურნირი 1962 წლის მაისში თბილისსა და სოხუმში ჩატარდა. 9 ქვეყნის 14 მოჭადრაკე მიუსხდა ჭადრაკის დაფებს. ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ამ დროს უკვე მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტი გახლდათ, შთაგონებული თამაშით პირველ ჯილდოს დაეუფლა. პრიზიორებში მანანა ტოგონიძეც და ელისო კაკაბაძეც იყვნენ.

სოხუმლები ისე მოხიბლა სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა ჰაექრობამ, რომ 1964 წლის მაისში IV ტურნირსაც მათ უმასპინძლეს. ამ მეტად საინტერესო ტურნირის 12 მონაწილეს შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი (ნ. გაფრინდაშვილი), მსოფლიოს ექსჩემპიონი (ე. ბიკოვა) და პრეტენდენტთა 1964 წლის ტურნირის ხუთი მონაწილე (ვ. ნედელკოვიჩი, მ. რანიკუ, ე. კელერ-გერმანი, ე. კარაკაში, მ. ტეოდორესკუ). ამ შეჯიბრებაში პირველად თამაშობდა 14 წლის ნანა ალექსანდრია.

უშეღავათო ბრძოლა ნონა გაფრინდაშვილის ტრიუმფით დამთავრდა. მან სამი ქულით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული ალა ჩაიკოვსკაია.

ამ შეჯიბრებას ვუძღვენით წიგნი „თორმეტთა ტურნირი სოხუმში“.

ჩვენი ტურნირების გამართვის ტრადიცია მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1968 წელს აღდგა. ამასობაში დაწინაურდა ბევრი ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკე: ციური კობაიძე, თამარ ხუგაშვილი, ციცინო კახაბრიშვილი, ნინო ხუბულური, მანანა სანაძე და სხვა. ცნობილმა ოსტატებმა კი წარმატება ამრავლეს.

V ტურნირი 1968 წლის მაისში თბილისში მოეწყო. 7 ქვეყნის 16 მოჭადრაკეს შორის პირველი იყო ნანა ალექსანდრია, მეორე—ალა ჩაიკოვსკაია. კობაიძემ IV ადგილი დაიკავა.

კიდევ ორი წლის შემდეგ, 1970 წლის მაის-ივნისში თბილისსა და გორში VI ტურნირი ჩატარდა. ჩვენი მოჭადრაკეებიდან წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ თამარ ხუგაშვილმა (III ადგილი) და ლალი კორომშინაძემ (IV ადგილი). პირველი ჯილდო რუმინელმა ალექსანდრა ნიკოლაუმ მიიღო, მეორე — ელენა რებცოვამ (ამჟამად ფათალიბეკოვა). ნანა ალექსანდრია VIII ადგილზე გავიდა.

VII ტურნირში (თბილისი, 1973 წ. აპრილ-მაისი) მონაწილეობდნენ ჩვენი ცნობილი მოჭადრაკეები და დებიუტანტები (12 წლის მაია ჩიბურდანიძე და 15 წლის ქეთევან გაჩეჩილაძე). შეჯიბრება სენსაციით დაიწყო: I ტურში ნონა დამარცხდა გაჩეჩილაძესთან. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა ზედიზედ დაამარცხა 12 მონაწილე და I ადგილიც დაიკავა. II-III ადგილებზე გასულნი ნანა ალექსანდრია და ნატალია კონოპლიოვა (მოსკოვი) მას 3,5 ქულით ჩამორჩნენ. ჩიბურდანიძემ ოლგა ანდრეევასთან და თამარ ხუგაშვილთან ერთად VII-IX ადგილები გაიყო.

1975 წლის დეკემბერში თბილისში მოეწყო VIII ტურნირი. აქ ახალგაზრდებმა გამოიჩინეს თავი (არ უთამაშიათ ნ. გაფრინდაშვილს, ნ. ალექსანდრიას), მათ დაჯაბნეს უცხოელი ოსტატები. I-II ადგილები გაიყვეს მაია ჩიბურდანიძემ და ანა ახშარუმოვამ (მოსკოვი) — 8,5-8,5 ქულა, III-IV ადგილები — ნანა იოსელიანმა და ნინო გურიელმა — 7,5-7,5, V ადგილზე გავიდა მზია წერეთელი — 7.

ამ ტურნირმა ჭადრაკის სამყაროს გააცნო ქართული ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავები, რომლებიც დღეს მსოფლიოს საჭადრაკო ელიტას წარმოადგენენ.

ერთ ხანს ჩვენი ტრადიციული ტურნირი მივიწყებას მიეცა. და აი, საქართველოს სპორტკომიტეტის ინიციატივით იგი კვლავ აღორძინდა. IX ტურნირი უძლიერესი შემადგენლობით გამოირჩევა. თამაშობენ თანამედროვე ქალთა ჭადრაკის (ერთი-ორი დიდოსტატის გამოკლებით) ლიდერები.

თენგიზ გიორგაძე.

კარპოვს მაილსი დაეწია

ოსლოს (ნორვეგია) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ა. კარპოვი და ე. მაილსი (ინგლისი) — 3-3 ქულა. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ინგლისელმა დიდოსტატმა ჰიუბნერს ორჯერ გადადებული პარტია მოუგო.

დანარჩენ მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: მაკარიჩევი — 2,5, ადორიანი (უნგრეთი), არნასონი (ისლანდია), დე ფირმიანი (აშშ) —2-2, აგდესტეინი (ნორვეგია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ჰიუბნერი — 1,5-1,5, ვედბერგი (შვეცია) — 1.

პოლგარის წარმატება

ლაიფციგში (გდრ) დამთავრდა 21-ე ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებაში 12 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. მათ შორის იყო 15 წლის ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი).

8,5 ქულით I ადგილზე გავიდა დიდოსტატი რაინერ კნააკი (გდრ). პოლგარმა 6 ქულით V-VI ადგილები გაიყო უნგრელ ოსტატ კაროლისთან. გოგონამ 3 პარტია მოიგო, 2 წააგო და 6 ყაიმით დაამთავრა.

ფინიშის ზღურბლზე

ტყიბული, 18 აპრილი (**ტელეფონით**). ქალაქის კლუბში მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა 44-ე ჩემპიონატი (I ლიგა). უმაღლესი ლიგის ორი საგზურისთვის 16 მოჭადრაკე იბრძვის.

მონაწილეებმა შეჯიბრების დისტანციის ორი მესამედი განვლეს. 10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: გია ბაღათურია (თბილისი) — 8 ქულა, რეზო ღოდიანი (სოხუმი), კობა შავგულიძე (ქუთაისი) — 7,5-7,5, გიორგი ბიბილაშვილი (რუსთავი), კარენ ბაბახანოვი (თბილისი) — 7-7, ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი) და დავით ჩაჩიბაია (თბილისი) — 6,5-6,5.

შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

ოთარ კობახიძე,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ორი ლიდერი

სოხუმი, 18 აპრილი (**ტელეფონით**). აქ მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 3 სპორტის ოსტატი და 10 ოსტატობის კანდიდატი (მათ შორისაა სამტრედიელი მოშაშე გოგონა თამარ გრიგოლია).

5 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ზურაბ ბოთერაშვილი (სამტრედია) და დავით ბერიშვილი (თბილისი) — 3,5-3,5 ქულა.

ჩემპიონატი 25 აპრილამდე გასტანს.

კალეიდოსკოპი

ერთი საგზურისათვის

სოჭი, 18 აპრილი (ტელეფონით). აქ მიმდინარეობს საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევი ტურნირი ჭაბუკთა შორის (20 წლამდე) მსოფლიო პირველობის ერთი საგზურისთვის. შეჯიბრებაში 9 ოსტატი და 5 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობს. 6 ტურის შემდეგ ლიდერობს ლემბიტ ოლი (ტალინი) — 4,5 ქულა. გია გიორგაძეს 3,5 ქულა და ერთი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს.

ორი ჩემპიონი და...

მეორე ადგილი დაიკავა პოლტავაში მოასპარეზე „ბურევესტნიკის“ სპორტსკოლის (დირექტორი ლევან ქურხაშვილი) ძიუდოისტთა ნაკრებმა — 34,5 ქულა. პირველ ადგილზე 39,5 ქულით გავიდა რსფსრ-ის გუნდი, მესამეზე — უკრაინის (26,5). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1967-68 წლებში დაბადებული სპორტსმენები.

პირად ასპარეზობაში ჩემპიონები გახდნენ ლევან ბოჭორიშვილი (მძიმე) და ზურაბ ნაზღაძე (95). მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა დავით ფიცხელაურს (71), მესამე — გივი ბაზანდარაშვილს (65).

ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის გუნდს ავარჯიშებენ მწვრთნელები იოსებ ფუხაშვილი და გიორგი ალექსანიანი.

ისევ გალინა ბელოგლაზოვა

ასტრახანელმა მოსწავლემ გალინა ბელოგლაზოვამ ზედიზედ მეორედ მოიგო მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა ტრადიციული ტურნირი „ხელოვნების რიტმები“, რომელიც რიგაში გაიმართა.

ლატვიის მხატვართა კავშირის მიერ დაწესებული პრიზებისთვის იბრძოდა ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, ფინეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ოცი სპორტსმენი.

გამარჯვებულმა ლენტით ვარჯიშში შეჯიბრების უმაღლესი შეფასება (9,90) დაიმსახურა და ჯამში 39,45 ქულა დააგროვა. უახლოეს კონკურენტს — ბულგარელ კამელია დუნავსკას მან 0,85 ქულით გაუსწრო.

„წინასწარგანზრახული პროვოკაციული აქცია“

გაზეთ „დეილი ნიუსის“ ცნობით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ტანზანიის ინფორმაციისა და კულტურის მინისტრთან დ. მვაკავაგოსთან საუბარში წინასწარგანზრახული პროვოკაციული აქცია უწოდა ინგლისის რეგბისტთა მოსალოდნელ გამგზავრებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

— მომავალ თვეში განზრახულია მოეწყოს ინგლისის რეგბისტთა გუნდის ტურნე აპარტეიდის სახელმწიფოში, რომლისთვისაც საერთაშორისო სპორტის კარი დახშულია, — თქვა ხ. ა. სამარანჩმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის დაგეგმილი მანევრი, მიმართული საერთაშორისო სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის, მომავალი ოლიმპიური თამაშების ჩაშლისაკენ. გაზეთი ყურადღებას ამახვილებს პრეზიდენტის სიტყვებზე, რომ ტურნე დაგეგმილია საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ.

სამართლიანი შეშფოთება

გაზეთ „დეილი უორლდი“ სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმ მტრული კამპანიის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიშალა XXIII ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

სარედაქციო სტატიაში გაზეთი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებას და გმობს „რეიგანის ადმინისტრაციის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მემარჯვენე დაჯგუფებათა პოზიციას“ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის კარიბჭესთან. მაგალითად, რეიგანის ადმინისტრაციამ უარი უთხრა ვიზის გაცემაზე საბჭოთა ოლიმპიურ ატაშეს, სოციალისტურ ქვეყნებს კანონის წინააღმდეგ მოსთხოვა სავიზო ნებართვათა მისაღებად ათლეტთა სიების წარდგენა. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი „ოლიმპიური ქარტიის აშკარა დარღვევაა“.

შეერთებულ შტატებში გაჩაღებულ ანტიკომუნისტურ კამპანიაში, — განაგრძობს გაზეთი, — განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საბჭოთა სპორტსმენთა უსაფრთხოების დაცვის საკითხი. გარდა ამისა, „რეიგანი თამაშებს მხოლოდ „ცივი ომის“ ატმოსფეროს შემდგომი გამძაფრების საშუალებად როდი მიიჩნევს. მისთვის ეს არის თავისებური პოლიტიკური კაპიტალი პრეზიდენტის არჩევნების წელს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აშკარა სიცრუე „საბჭოური საფრთხის“ თაობაზე, რაც ვითომ აშშ-ის ეროვნულ უშიშროებას ემუქრება“.

განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ამერიკის მხარე „უგულებელყოფს ოლიმპიური ქარტიის სულისკვეთებას მოგების სულისკვეთების სასარგებლოდ“. მას შემდეგ, რაც 1984 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია ამერიკის კორპორაციებს ჩაუგდეს ხელში, ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა შიში, რომ ეს დიდი ასპარეზობა „ადვილი შესაძლებელია კომერციულ ღონისძიებად იქცეს“.

თამაშების ორგანიზატორებმა, „დეილი უორლდის“ აზრით, მტკიცე პოზიციები ვერ დაიკავეს თეთრი სახლის მაქინაციების წინააღმდეგ.

თუ რეიგანის ჩარევის აღსაკვეთად არაფერი გაკეთდა, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა შეიძლება ისე დაზარალდეს, რომ დაშვებული შეცდომის გამოსწორება შეუძლებელიც იქნეს, — ასეთა გაზეთის აზრი.

სტუდენტი ჩემპიონები

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სიეტლში დამთავრდა ამ ქვეყნის სტუდენტ კალათბურთელთა ჩემპიონატი.

ფინალურ მატჩში, რომელსაც 40 ათასი მაყურებელი დაესწრო, ერთმანეთს შეხვდნენ ჯორჯთაუნისა და ჰიუსტონის უნივერსიტეტების გუნდები. სხვათა შორის, ჰიუსტონი შარშანაც ფინალში გავიდა და დამარცხდა ჩრდილოეთ კაროლინის გუნდთან. პირველი ტაიმი მოიგო ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის გუნდმა (40:30), რომელმაც უპირატესობა მეორე ტაიმშიც შეინარჩუნა და გაიმარჯვა — 84:75. მიმომხილველთა აზრით, ჯორჯთაუნელთა წარმატების საწინდარი გახდა მათი ლიდერის, პატრიკ იუვინგის ბრწყინვალე თამაში დაცვაში. მართალია, მან თავის გუნდს მხოლოდ 8 ქულა შესძინა, მაგრამ ფარიდან ასხლეტილი ბურთების უმრავლესობას სწორედ ის ეუფლებოდა. ამერიკელი მიმომხილველები იუვინგს სახელგანთქმულ ბილ რასელს ადარებენ. იგი აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი კანდიდატია.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდმა ანგარიშით 82:68 დაამარცხა ინდიანის უნივერსიტეტის კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი ბობ ნაითი.

მერაბ კალანდაძე.

გამარჯვება მშობლიურ ფიცარნაგზე

ვილნიუსში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც შვიდი ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მრავალჭიდში ყველას აჯობა საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონმა, ვილნიუსელმა დალია კუტკაიტემ. იგი პირველი იყო ოთხივე სახეობაში, თანაც გურზებით ვარჯიშში უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო. საბოლოოდ მან 39,5 ქულა დააგროვა. მეორე იყო ტაშკენტელი ვენერა ზარიპოვა — 38,95. ბრინჯაოს მედალი ხვდა 13 წლის ბუქარესტელ მოსწავლეს პეტრუცა დუმიტრესკუს.

ფრენბურთის სიახლენი

ტოკიოში იაპონიის ჩემპიონებმა, კლუბ „ხიტაჩის“ ფრენბურთელმა ქალებმა კვლავ მოიპოვეს „მეგობრობის თასი“, როცა ასპარეზობის დასკვნით დღეს დაამარცხეს ალმა-ათის სახლმშენებელი კომბინატი — 3:1. შემდეგ ადგილებზე არიან კლუბი „ტოიობო“ (იაპონია), ალმა-ათის სახლმშენებელი კომბინატი და პროვინცია სიჩუანის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) გუნდი.

ლოს-ანჯელესის გარეუბან ლონგბიჩში შედგა აშშ-ისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა ნაკრები გუნდების პირველი შეხვედრა დაგეგმილი ექვსი მატჩიდან. ანგარიშით 3:1 (15:8, 17:15, 4:15, 16:14) გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონებმა — ჩინელმა ფრენბურთელებმა.

წლის საუკეთესო ცპორტსმენი

ქალაქ პლოეშტის (რუმინეთი) ერთ-ერთმა გაზეთმა წინადადება წამოაყენა „წლის საუკეთესო სპორტსმენის“ წოდება მიენიჭოს... ადგილობრივ ფოსტალიონს. როგორც გამოთვალეს, წლის განმავლობაში ეს ფოსტალიონი საშუალოდ 6500 კილომეტრს გადის და 5 ტონა კორესპონდენცია გადააქვს. ამ კორესპონდენციას რომ ერთად მოუყაროთ თავი, მრავალსართულიანი სახლისოდენა მთა გამოვა!

ავტომრბოლელთა პირველი სტარტები

მსოფლიოს უძლიერესი ავტომრბოლელები ჩაებნენ თავიანთ უმნიშვნელოვანეს ასპარეზობაში — I ფორმულის მანქანების მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში. ეს შეჯიბრება მრავალეტაპიანია და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დამთავრდება.

I ეტაპი — „ბრაზილიის დიდი პრიზი“ — მოიგო ფრანგმა სპორტსმენმა ალენ პროსტმა, რომელიც „მაკლარენით“ გამოდის. 306-კილომეტრიანი ტრასა მან 1 საათში, 42 წუთსა და 43,4 წამში დაფარა (საშუალო სიჩქარე — 179,5 კმ/სთ). მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ფინელი კეკე როსბერგი („უილიამსი“) II ადგილზე გავიდა — 1:43.15,0.

II ეტაპზე („სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი“) შეუდარებელი იყო ცნობილი ავსტრიელი მრბოლელი ნიკი ლაუდა („მაკლარენი“) — 1:29.23,4 (ტრასის სიგრძე — 302 კმ, საშუალო სიჩქარე — 206, 6 კმ/სთ). პროსტი ამჯერად მეორე მივიდა ფინიშთან — 1:30.29,4.

ორი ეტაპის ჯამში სწორედ პროსტი ლიდერობს — 15 ქულა. მეორე ადგილზეა ლაუდა — 9, მესამეზე — როსბერგი — 6.

გულშემატკივრობამ დაღუპა

სარაევოს ოლიმპიადის დროს ნიურნბერგში (გფრ) ასეთი ეპიზოდი მოხდა: საავიაციო კომპანია „ლუფტჰანზას“ ერთ-ერთი ფილიალის სალაროსთან ქურდი მივიდა, მოლარეს რევოლვერით დაემუქრა და ფული მოსთხოვა.

— თქვენ მე ხელი შემიშალეთ ტრანზისტორით მესმინა სარაევოსათვის, სადაც ახლა აშშ-სა და კანადის ჰოკეის ნაკრებები ხვდებიან ერთმანეთს, — უთხრა მოლარემ.

— რა ანგარიშია? — დაინტერესდა მძარცველი.

ორ გულშემატკივარს შორის საუბარი გაიმართა, ამასობაში კი მოლარის სიგნალით გამოძახებული პოლიციელები გამოჩნდნენ და მძარცველი დააპატიმრეს.

ბესტი იკარგება და ბრუნდება

ფეხბურთის გულშემატკივრებს თითქოს უკვე მიავიწყდათ კიდეც ბრიტანული ფეხბურთის უძღებ შვილად წოდებული 39 წლის ჯორჯ ბესტი, მაგრამ მისი სახელი კვლავ გამოჩნდა პრესის ფურცლებზე. ბესტმა კონტრაქტი დადო კლუბ „ტობერმორ იუნაიტედთან“, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის მეორე ლიგაში ასპარეზობს. ხელშეკრულების ვადა მეტად უჩვეულოა — ერთი თვე.

აი, რა თქვა ამის შესახებ „ტობერმორ იუნაიტედის“ მენეჯერმა ჩარლზ უაიტლიმ.

— უფრო დიდი ხნით ბესტთან კონტრაქტის დადება უაზრობაა. გასაგებია, რომ იგი მხოლოდ მანამდე ითამაშებს ფეხბურთს, სანამ ისევ, ჩვეულებისამებრ, ლოთობას არ მოჰყოფს ხელს, მაგრამ სანამ ლოთობას დაიწყებდეს, ბესტი სტადიონზე დიდძალ მაყურებელს მოიზიდავს.

თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ჯორჯ ბესტმა ათობით კლუბი გამოიცვალა, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი“, „სელტიკი“, „ჰიბერნიენი“, „ფულჰემი“, „კორკი“, „ბორნმუთი“ და სხვ.

ვინ ვის?

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის, დიდოსტატ ფ. ცვეტოჩკინისგან)

კომპოზიტორი ნიკიტა ბოგოსლოვსკი ჩინებული იუმორისტიც არის. გთავაზობთ მის პაროდიას ისეთ საჭადრაკო მიმოხილვაზე, სადაც ყველაფერზეა საუბარი, გარდა ჭადრაკისა.

ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, მიმდინარეობს უკანასკნელი პარტია საერთაშორისო ტურნირისა, რომელიც მიეძღვნა XVIII საუკუნის გენიალურ მოჭადრაკეს კრუკენფილიაროს (სიტყვამ მოიტანა და — თორმეტი შვილის მამას).

მინდა მკითხველებს ჩემი, ცოტა არ იყოს, თამამი მოსაზრება გავუზიარო: ვინაიდან დღეს უკანასკნელი ტური თამაშდება, ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ტურნირი ამით უნდა დამთავრდეს. ვიმედოვნებ, რომ ეს სარისკო ვარაუდი არ მიმტყუნებს.

აი, ნერვიულად იგრეხს ჭაღარაგარეულ წითურ ულვაშს დიდოსტატი პირლიპატეკი, რას იზამ, ბედმა უმუხთლა: ერთი კვირით ადრე შეჯიბრების დაწყებამდე შუა ყურის ანთებამ იგი ისე გამოსთიშა ტურნირს, რომ ერთი პარტიაც არ უთამაშია და, ამდენად, პირველი ადგილის აღების შანსები თითქმის გადაეწურა. არადა, დასანანია! სიმპათიური პირლიპატეკი ხომ ნაზად მოსიყვარულე მეუღლეა და ფაგოტზეც რიგიანად უკრავს.

არც საერთაშორისო ოსტატ ფუეტეს გაუმართლა! საქმე ის გახლავთ, რომ მხცოვანი მაესტრო საოცრად ცრუმორწმუნეა და თოფივით ერიდება 13 რიცხვს. არადა, ეს დათარსული ციფრი მთელი ტურნირის მანძილზე ვერა და ვერ მოიცილა თავიდან: ჯერ იყო და, ტურნირი ოცში დაიწყო. ოცს გამოვაკლოთ შვიდი (ამ ხნისაა მაესტროს უმცროსი ვაჟი) — მივიღებთ 13-ს. ფუეტე დაიბადა 1901 წელს. ამ რიცხვს მივუმატოთ 12 (მაესტროს უფროსი ქალიშვილის ასაკი) — ისევ და ისევ მივიღებთ 13-ზე დაბოლოებულ რიცხვს! სასტუმროში მას 67-ე ნომერი შეხვდა, თუ 67-ს გამოვაკლებთ 54-ს (უფროსი ვაჟის ასაკს მიმატებული საყელოს ზომა თავად მაესტროსი) — ისევ და ისევ ის საბედისწერო 13 დაგვრჩება. ერთადერთი, რაც ასე თუ ისე ანუგეშებს ჩაფსკვნილ, გამელოტებულ ფუეტეს, ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით არც ერთ პარტიაში არ დამარცხებულა — დიდოსტატ პირლიპატეკისა არ იყოს, ისიც ტურნირის დაწყების წინ ავად გახდა და ბრძოლაში ვერ ჩაება.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი დიდოსტატ იან ჰახოვანის საბედისწერო ვნება — თამაშის დროს იგი განუწყვეტლივ ექაჩება სიგარეტს. მთელი ტურნირი მან ორთქლმავალივით აბოლა, ასე რომ, მასთან მოთამაშე პარტნიორები დაახლოებით მეორე სვლაზე, გონების დაკარგვის წინ, ყაიმს სთავაზობდნენ, რაზედაც ჩვენი კეთილი, ახოვანი ჰახოვანი სიამოვნებით ყაბულდებოდა. მაგრამ ამდენ ბოლებაში თვითონ შეიქნა ცუდად და მეექვსე ტურიდან ისიც გამოეთიშა ტურნირს.

თამაშისგან თავისუფალ დროს მოჭადრაკეები ბევრს დასეირნობენ, ეცნობიან ათენოგენის მომხიბვლელ ნანგრევებს. ტურნირის მონაწილენი ბევრს ოხუნჯობენ საყოველთაო სიყვარულით გარემოცული სანდრინო აზრიანის ახირებულობაზე — მას ჩვევად აქვს ყოველდღე ისადილოს.

არც საერთაშორისო ოსტატ ვალტერ კროზეტს აქვს ნაკლები მადა: 1946 წელს ქალაქ ფრიჩინსკში გამართულ ბანკეტზე მან ისე მოასუფთავა ექვსი ტაფა, რომ რიგიანად არც დაუხედია, რას შეექცეოდა. ამიტომაც უწოდეს მას ერთდროულად „რამდენიმე ტაფაზე დაუხედავად თამაშის ოსტატი“.

დიდოსტატ სუვარინის სიმაღლე მეტრი და 76 სანტიმეტრია, სახეზე მას ჭორფლის 27 წინწკალი აყრია. ჰოლანდიელ ფან-ტასტიკს სამი ბავშვი ჰყავს, მათ შორის ერთი გოგო, სახელად — სუზი. საერთაშორისო ოსტატი კოჟადა-კოსტი არასოდეს იცილებს თავის ავგაროზს — ერთ წყვილ შალის შავ წინდას, რომელსაც მთელ წელიწადს გაუხდელად ატარებს — ბედნიერება მოაქვს ჩემთვისო. მართლაც, მიმდინარე ტურნირში მან წარმატებით იასპარეზა უკანასკნელი ადგილისთვის ბრძოლაში ოსტატ კროზეტთან.

ამჟამად ათენოგენში ჩინებული დარია. ტემპერატურა პლუს 26-31 გრადუსი, დასავლეთის სუსტი, ძლიერამდე ქარი, მოსალოდნელია ნალექები.

საერთაშორისო ტურნირის მიმოხილვის ბოლოს მინდა ვაუწყო ჩვენს მკითხველებს, რომ ტურნირის შედეგებს და პარტიის ანალიზს არ გთავაზობთ, ვინაიდან ჩვენი ჟურნალი სამი კვირის შემდეგ გამოდის, თქვენ კი ამას ყველაფერს გაზეთებიდან გაცილებით ადრე შეიტყობდით.

გასწორება

„ლელოს“ 18 აპრილის ნომრის მასალაში „ტრადიციას არ ეღალატება“ მე-4 აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „—რა თქმა უნდა, ფეხბურთელები, თუმცა უკვე საკმაოდ გამყარებული სქემიდან 4-4-2-დან გადახვევაც...“ შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი ა. გოგელია.

სპორტკომბინატ „დინამოს“ ჩოგბურთის კორტები
(სანაპიროს № 2)
23-28 აპრილი
ჩოგბურთი
საერთაშორისო ტურნირი გოგონათა და ჭაბუკთა შორის
მონაწილეობენ: ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, თურქეთის, კვიპროსის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.
შეხვედრების დასაწყისი 10 და 16 საათზე.
ბილეთები გაიყიდება სპორტკომბინატ „დინამოს“ ჩოგბურთის კორტების სალაროებში 23-28 აპრილს დილის 10 საათიდან.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის.
ИНДЕКС 66435
2₉. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე 05881